საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11191/01
28/10/2021

11191-01-2-202110281108

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 4 ოქტომბერს N17815 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. სირიაჩქონში მდ. რიონის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებას და გაცნობებთ შემდეგს:

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, თავში ,,ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე" აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორია სრულიად თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან (გვ. 8), თუმცა ,,სამშენებლო სამუშაოების მოცულობათა უწყისში" მითითებულია, რომ საპროექტო ნაგებობის განლაგების ტრასაზე, 760 $მ^2$ ფართობის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ბუჩქების მოჭრა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ხე-მცენარეულ საფარზე ზემოქმედების საკითხი.

ასევე გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის 4013 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, კოლხეთის სატყეო უბნის სენაკის სატყეოს ყოფილ საკოლმეურნეო ტყეს. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო ტერიტორიის სახელმწიფო ტყის საზღვრებში მოხვედრის შესახებ. ამასთან, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია მდ. რიონის ჰიდრომეტრულ გაანგარიშებათა მხოლოდ საბოლოო მონაცემები და არ არის წარმოდგენილი მდ. რიონის წყლის მაქსიმალური ხარჯისა და კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმის გაანგარიშების შესახებ ინფორმაცია, გამოყენებული ფორმულების და ჰიდრავლიკური ელემენტების მითითებით, რაც საჭიროებს კორექტირებას.

გარდა ამისა, სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტით გათვალისწინებულია 420 მ სიგრძის ეროზიის საწინააღმდეგო ქვანაყარი დამბის მოწყობა და 195 მ სიგრძის

მონაკვეთზე დატბორვის საწინააღმდეგო დამბის აღდგენა. მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის სრული სიგრძე შეადგენს დაახლოებით 420 მეტრს, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს არსებული ქვაყანაყი ბერმის ნაცვლად გათვალისწინებულია ახალი ნაპირსამაგრის მოწყობა, თუ აღნიშნულ მონაკვეთზე განხორციელდება მხოლოდ სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ამასთან გიგზავნით, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წლის 13 ოქტომბერს სამინისტროში წარმოდგენილ N40-402128629 წერილს, რომელიც ეხება საპროექტო ტერიტორიამდე ნედლეულის (დიდი ზომის ქვები) ტრანსპორტირების საკითხს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ტექსტის თანახმად

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე